28
სექტემბერი
ხუთშაბათი,
1961 წ.
152 (1788)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო



ყრილობის პრეზიდიუმი.

ფოტო ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით ეგებებიან სკკპ XXII ყრილობას — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას. სულ ოციოდე დღე გვაშორებს იმ ღირსსახსოვარ თარიღს, როდესაც მოსკოვში კრემლის ახლადაგებულ ყრილობათა დარბაზში შეიკრიბებიან ჩვენი ქვეყნის რჩეული ადამიანები და მიიღებენ სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის ნათელ პროგრამას.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, პარტიის იდეებს, რომლებსაც პროგრამის პროექტი შეიცავს, შეხვდნენ როგორც თავიანთ მშობლიურ, ღვიძლ საქმეს, როგორც თავიანთი ცხოვრების უდიდეს მიზანს.

1980 წლისათვის საბჭოთა საქართველო, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა, ბევრად გაუსწრებს თითო მოსახლეზე წარმოების დონით ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. წინასწარი მონახაზებით ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 20 წელიწადში საგრძნობლად გაიზრდება.

საბჭოთა საქართველოს საწარმოებში დღითიდღე ახალი ძალით ჩაღდება მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა. ჩვენი რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ახალ-ახალი წარმატებებით ეგებებიან სკკპ XXII ყრილობას.

სწორედ ასეთ ვითარებაში, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მაღალი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, გაიხსნა გუშინ, 27 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა.

სხდომათა დარბაზში შეიკრიბა 1.200-მდე დელეგატი, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან; აქ არიან პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა შეაჯამებს უკანასკნელი ერთი წლისა და შვიდი თვის მანძილზე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, ყველა მშრომელის მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს, განიხილავს სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს. დასახავს მომავალი მუშაობის დიდ ამოცანებს.

დილის 10 საათია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე** ყრილობას გახსნილად აცხადებს. ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს: საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას, სარედაქციო კომისიასა და სამდივნოს.

საქმიანი პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეული იქნენ ამხანაგები **ი. ბ. აბაშიძე, მ. თ. ბლაუბა, გ. ა. გეგეშიძე, დ. ვ. გელაშვილი, ლ. ი. დავითაძე, ლ. მ. დავითაძე, ფ. ს. დუღაშვილი, ფ. დ. დუმბაძე, ტ. მ. თავაძე, ვ. ზ. თოხაძე, ა. დ. თხილაიშვილი, ა. ნ. ინაური, პ. ვ. კოვანოვი, შ. ს. კობახიძე, ვ. დ. კოზაევი, ვ. დ. კუპრაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ტ. ვ. მატვეევა, ს. ს. მატოიანი, ვ. პ. მჟავანაძე, ი. დ. მელკოვი, ნ. ი. მუ'ხელიშვილი, პ. თ. პიგალევი, პ. პ. სახეჩიძე, თ. პ. სტეპჩენკო, ა. ტ. სტუჩენკო, ი. ა. ტოლიაშვილი, ვ. ი. ქადაგიძე, ს. ი. ქავთარაძე, ა. ვ. ქუთელია, ს. ა. შარაძენიძე, ე. ა. შევარდნაძე, ო. ე. ჩერქეზია, მ. გ. ჩიქოვანი, გ. ი. ჩოგოვაძე, ა. ვ. ძამაშვილი, გ. ს. ძოწენიძე, ე. გ. წიწრიაშვილი, ე. კ. ხარაძე, ი. რ. ხვედელიანი, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ნ. ჯიბლაძე, ე. შ. ჯიბუტი, ა. დ. ჭასანოვი.**

სამანდატო კომისიის შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები **ა. ს. ბექაური, თ. პ. ბუაჩიძე, გ. ი. გამეზარდაშვილი, ტ. ს. კერესელიძე, რ. მ. კომახიძე, ა. მ. ლაბახუა, ა. ე. მელაძე, ი. გ. რთველიაშვილი, ა. კ. ქვარცხავა, კ. ნ. შავიშვილი, ვ. გ. შჩური.**

სარედაქციო კომისიის შემადგენლობაში არჩეული იქნენ ამხანაგები **პ. ვ. ასლანიდი, შ. ე. ბუხრაშვილი, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ო. დ. გოცირიძე, თ. ვ. ლაშქარაშვილი, დ. ვ. მჭედლიშვილი, ე. ა. სალუქვაძე, ს. კ. ჩხარტიშვილი, ი. ი. ჩხიკვიშვილი.**

სამდივნოში აირჩიეს ამხანაგები **თ. რ. აბაშმაძე, ვ. ი. გაზაევი, ე. ს. გეგელაშვილი, ზ. ბ. გელდიაშვილი, ზ. ა. კვაჭაძე, გ. გ. პაიჭაძე, ვ. მ. სირაძე, დ. გ. სტურუა, ვ. გ. ქერქაძე.**

ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით, ერთსულოვნად, დამსწრეთა მქუხარე ტაშის გრიალში აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ **ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის** მეთაურობით.

ერთხმად მტკიცდება ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება;

2. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება;

3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის განხილვა;

4. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტის განხილვა;

5. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა;

ბ) საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიისა;

გ) სკკპ XXII ყრილობის დელეგატებისა.

მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ **თ. რ. აბაშმაძემ.**

დელეგატების ერთსულოვანი ტაშის გრიალში მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა უკრაინის კპ XXII ყრილობას.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

სტენდზე მივიღეთ სტუმრები

თბილისის „მონკავშირის“ სტენდზე სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს „მონკავშირისა“ და კრასნოდარის მხარის მესტენდურეთა ამხანაგური შეჯიბრება. პირველად ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ ადგილიდან მსროლელები. აქ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ზ. მაჩხანელი, ი. საგანელიძე, ბ. სეგალევიჩი, კ. დარასელია, ე. მელიქიშვილი და ი. ქღენტი, 43 ქულით აჯობა მოწინააღმდეგეს და პირველი ადგილი დაიკავა ამ ვარჯიშში.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს დარჩათ გამარჯვება მრგვალ სტენდზე გუნდურ შეჯიბრებაშიც. საქართველოს მესტენდურეებმა 600 შესაძლებლიდან 517 სამიზნე დაამსხვრიეს, მაშინ, როცა მოწინააღმდეგეთა მაჩვენებელი არ გაცილებია 486-ს. საქართველოს სპორტსმენებმა მართალია, გაიმარჯვეს კომპლექსურ ჩათვლაში, მაგრამ პირად პირველობაში უპირატესობა სტუმრებს დაუთმეს.

ადგილიდან სროლაში კრასნოდარელმა სპორტის ოსტატმა ვ. როდინმა 200 შესაძლებლიდან 184 სამიზნე დაამსხვრია და 4 სამიზნით აჯობა მეორე ადგილზე გამოსულ ი. საგანელიძეს. თავის მხრივ მას ერთი ქულით ჩამორჩა ზ. მაჩხანელი.

მრგვალ სტენდზე უძლიერესი იყო სპორტის ოსტატი ნ. ნუდელი (კრასნოდარი) 100-დან 100-ით. მხოლოდ 4 სამიზნე „გაუშვა“ დაუზიანებლად. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ბ. სეგალევიჩი — 94 ქ. და ბ. შეგრელაძე — 92 ქულა.

ლ. ციციშვილი,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

თუ გინდათ იყოთ ლამაზი

ლი როგორც ქანდაკება ერთ ადგილზე ქვავდება. გამოსვლა გაგრძელდება ცოტა ხანს. პირველს ცვლის მეორე, მეორეს — მესამე გოგონა, მათ ყველას ხელთ აქვთ მბრწყინავი რკალი, ფერადი შარფი ან ლენტი, ჩვეულებრივი სახტუნავი, ან ბურთი.

რა არის ეს — საცირკო სანახაობა? ცეკვა? საკონცერტო პროგრამის აკრობატული ნომერი? არა, უბრალო შეჯიბრება, ხოლო გოგონები, რომლებიც თავიანთი გრაციით ატყვევებენ მაყურებლებს — სპორტსმენები არიან. ხელოვნებისა და სპორტის დაახლოვებამ ადამიანები დააჯილდოვა „მხატვრული ტანვარჯიშით“. სწორედ მასზე მანდა გიამბოთ.

სპორტის ეს სახეობა — თანამედროვეობის პირმშოა. დღეს ჩვენს თვალწინ ორი მეცნიერების გადაჯდომით ჩნდება მესამე. ჩვეულებრივად ეღერს სიტყვა — „ბიოქიმია“, „რადიოელექტრონიკა“. მათ ხომ ამ რამდენიმე ხნის წინათ არ იცნობდნენ! სპორტულ „მეცნიერებაშიც“ არ იყო ისეთი, როგორც მხატვრული ტანვარჯიშია. იგი სულ ბევრი, 10 წლისაა. მაგრამ თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად მხატვრულმა ტანვარჯიშმა დაიპყრო ადამიანთა გული ჩინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გდრ-ში, ფინეთში და ბევრ სხვა ქვეყანაში. ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება პირველად მოეწყო 1949 წელს.

მოძრაობათა მაღალი კულტურა, ურთულეს მოძრაობათა ელემენტების ზუსტი შესრულება ერთმანეთისაგან ანსხვავებს საუკეთესო „მხატვრებს“, მაგრამ სექციები ეს ფაბრიკები როდია, სადაც გამოშვებული ტანვარჯიშია. ეს ბევრ ფიქრს, ბევრ ოფლს, ბევრ ტანჯვას ნიშნავს. ეს

ულ ხუთიოდე წლის წინ კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდს სათავეში ედგა მწვრთნელი ე. შაბლინსკი. მაშინ ეს კოლექტივი დიდ ძალას არ წარმოადგენდა საკავშირო სარბელზე, რამოდენიმე წელი დასჭირდა გამოცდილ მწვრთნელს, რომ თავის აღსაზრდელთა ტალანტი ძალით და ბრწყინვალეობით გამოემზეურებინა. აი დღეს უკრაინის დედაქალაქის სტუდენტთა კოლექტივმა წამყვანი პოზიციები დაიკავა საბჭოთა კალათბურთის ავანგარდში.

საკავშირო ჩემპიონატში კიეველთა მიერ დაკავებულ მეხუთე ადგილს ზოგნი შეიძლება სკეპტიკურად შეხვდნენ, მაგრამ მას უდაოდ თავისი გამართლება აქვს. უკრაინელმა კალათბურთელებმა ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მეორე წრე სოფიის უნივერსიადაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ დაიწყეს და, ბუნებრივია, საკავშირო პირველობის დამამწყვეტ ეტაპს გადაღლილები შეხვდნენ. ეს იყო ალბათ კოლექტივის შედარებითი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი.

მაგრამ უკრაინელთა მწვრთნელი მაინც ნასიამოვნებია, როგორც თქვენ სურათზე ხედავთ. იგი იმითაც კმაყოფილია, რომ მისმა აღზრდილებმა თბილისის სპორტის მოყვარულებს ლამაზი კალათბურთი აჩვენეს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს ორი წამყვანი სპორტსმენი აკლდა — ვალტინი და სტრემოუხოვი, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ო. ქორჭიას მხიარული განწყობილება ადვილი გასაგებია. აი ახლა იგი გულითა და სულით იღებს კიეველთა მწვრთნელის გულწრფელ მოლოცვას.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე გ. მეუნარგია დინამოელთა გუნდის კაპიტანს გ. მინაშვილს გადასცემს ვერცხლის მედალს.

თბილისის კალათბურთელთა წარმატება მხურვალედ გაიზიარა ამ პატარა სპორტის მოყვარულმაც. მატჩი დამთავრდა და გამარჯვების ერთ-ერთ ავტორს ლ. ინწკირველს წარმატება მიულოცა მისმა შვილმა, მომავალში შეიძლება მამასავით სახელოვანმა კალათბურთელმა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საბურთაო ბილეთი

ბოლო ხუთიოდე წლის წინ კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდს სათავეში ედგა მწვრთნელი ე. შაბლინსკი. მაშინ ეს კოლექტივი დიდ ძალას არ წარმოადგენდა საკავშირო სარბელზე, რამოდენიმე წელი დასჭირდა გამოცდილ მწვრთნელს, რომ თავის აღსაზრდელთა ტალანტი ძალით და ბრწყინვალეობით გამოემზეურებინა. აი დღეს უკრაინის დედაქალაქის სტუდენტთა კოლექტივმა წამყვანი პოზიციები დაიკავა საბჭოთა კალათბურთის ავანგარდში.

საკავშირო ჩემპიონატში კიეველთა მიერ დაკავებულ მეხუთე ადგილს ზოგნი შეიძლება სკეპტიკურად შეხვდნენ, მაგრამ მას უდაოდ თავისი გამართლება აქვს. უკრაინელმა კალათბურთელებმა ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მეორე წრე სოფიის უნივერსიადაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ დაიწყეს და, ბუნებრივია, საკავშირო პირველობის დამამწყვეტ ეტაპს გადაღლილები შეხვდნენ. ეს იყო ალბათ კოლექტივის შედარებითი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი.

მაგრამ უკრაინელთა მწვრთნელი მაინც ნასიამოვნებია, როგორც თქვენ სურათზე ხედავთ. იგი იმითაც კმაყოფილია, რომ მისმა აღზრდილებმა თბილისის სპორტის მოყვარულებს ლამაზი კალათბურთი აჩვენეს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს ორი წამყვანი სპორტსმენი აკლდა — ვალტინი და სტრემოუხოვი, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ო. ქორჭიას მხიარული განწყობილება ადვილი გასაგებია. აი ახლა იგი გულითა და სულით იღებს კიეველთა მწვრთნელის გულწრფელ მოლოცვას.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე გ. მეუნარგია დინამოელთა გუნდის კაპიტანს გ. მინაშვილს გადასცემს ვერცხლის მედალს.

თბილისის კალათბურთელთა წარმატება მხურვალედ გაიზიარა ამ პატარა სპორტის მოყვარულმაც. მატჩი დამთავრდა და გამარჯვების ერთ-ერთ ავტორს ლ. ინწკირველს წარმატება მიულოცა მისმა შვილმა, მომავალში შეიძლება მამასავით სახელოვანმა კალათბურთელმა.

„ᲩᲔᲛᲘ“ ᲙᲚᲐᲡᲘ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

XI-XXII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მდგომარეობა 28 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	27	13	7	7	45—33	33
„შახტიორი“ (სტალინო)	27	9	9	9	33—27	27
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	27	9	7	11	34—35	25
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	27	9	6	12	39—47	24
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	26	8	8	10	33—42	24
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	27	6	12	9	31—41	24
„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი)	26	8	7	11	34—37	23
„კაირატი“ (ალმა-ათა)	27	8	6	13	27—44	22
„ბელარუსი“ (მინსკი)	27	6	8	13	23—37	20
„სპარტაკი“ (ვილნიუსი)	27	5	5	17	23—56	15
„დაუგავა“ (რიგა)	27	4	6	17	24—51	14
„კალევი“ (ტალინი)	27	1	8	18	17—55	10

* * *

26 სექტემბერს ჩატარდა მორიგი ტურის მატჩები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე XI-XXII ადგილებისათვის შებრძოლ გუნდებს შორის. კიშინიოვში თამაშობდნენ „მოლდოვა“ და ბაქოს „ნეფტიანიკი“. გაიმარჯვეს კიშინიოველებმა — 1:0. მოსკოვის „დინამომ“ რიგაში ამავე ანგარიშით დაამარცხა ადგილობრივი „დაუგავა“. „კალევმა“ (ტალინი) საკუთარ მოედანზე დამარცხება განიცადა ვორონეჟის „ტრუდთან“ ანგარიშით 0:2, ხოლო მინსკის „ბელარუსმა“ — ვილნიუსის „სპარტაკთან“ — 0:1, ფრედ (0:0) დამთავრდა მატჩი ალმა-ათაში ადგილობრივ „კაირატსა“ და სტალინოს „შახტიორს“ შორის.



გაიმართა საქართველოს პირველობის (პირველი ჯგუფი) გათამაშების უკანასკნელი ტურის მატჩები ფეხბურთში.

ᲠᲘᲒᲘ ალმავლობით ჩაატარეს ბოლოანთა უკანასკნელი მატჩი ხოლ „კოლხიდის“ ფეხბურთელებმა ოღეს რა გეგეჭკორის „სალხინო“. ბელებმა ორივე ტაიმის განმავლობაში მოწინააღმდეგის კარში ერტანეს 6 გოლი, თავისაში კი მხოლოდ ერთი გაუშვეს და გაიმარჯვეს ადი ანგარიშით — 6:1.

ᲮᲝᲮᲨᲘ თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და გათაშების ერთ-ერთი ლიდერი, ყიბულის „მეშახტე“. დაძაბულ ძოლაში ტყიბულელებმა შეძლეს მინიმალური უპირატესობის მოპოვება, მათ მიერ მოწინააღმდეგის კარში გატანილმა ერთადერთმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „მეშახტეს“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ არმიელთა სპორტული კლუბისა და ჭიათურის „მაღაროელის“ მატჩში, რომელიც თბილისში ჩატარდა, 11-მეტრიან საჯარიმოდან ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, მაგრამ შესვენებამდე არმიელებმა არა მარტო შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, არამედ წინ გავიდნენ — 2:1. მატჩის მეორე ნახევარში უპირატესობა კვლავ მასპინძელთა მხარეს იყო, რასაც კიდევ ერთი გოლი მოჰყვა სტუმრების კარში. მატჩი დამთავრდა თბილისელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ—3:1.

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ „კოლმეურნეს“ თავისი უკანასკნელი მატჩი რესპუბლიკის პირველობაზე ჰქონდა საკუთარ მოედანზე. აქ მათ წინააღმდეგ თამაშობდნენ თელაველი თანაკლუბელები. მასპინძლები მატჩის დასაწყისიდანვე დაეპატრონენ მოედანს და თითქმის არ მოშორებიან მოწინააღმდეგის ნახევარს. ჯერ კიდევ შესვენებამდე მათ 5 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, ხოლო თავისაში ერთი გოლი მიიღეს. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით ტყველებს მახარაძელთა უპირატესობაზე.

ᲒᲐᲗᲣᲛᲨᲘ ადგილობრივი „განთიადისა“ და ჩოხატაურის „ბახმაროს“ გუნდების შეხვედრის პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა უკეთესად ჩაატარეს მატჩი და მიაღწიეს დამსახურებულ გამარჯვებას — 4:1.

ᲙᲘᲓᲔᲕ ერთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი ლანჩხუთის „გურიას“. ბოლოსწინა შეხვედრაში მათ წინააღმდეგ თამაშობდა გორის „დილა“. მატჩი მიმდინარეობდა არახელსაყრელ პირობებში — ფეხბურთის მოედანი უვარგისი იყო თამაშისათვის. მიუხედავად ამისა, გორელები თამაშობდნენ შეთანხმებულად, სწრაფ ტემპში და უკვე პირველ ნახევარში დაწინაურდნენ — 3:2. მატჩის განახლების შემდეგ მოწინააღმდეგეებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს და „დილას“ ფეხბურთელებმა მიაღწიეს ძნელ გამარჯვებას — 5:4.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ „ლოკომოტივისათვის“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის „სპარტაკთან“ მატჩის შედეგს. მოგების შემთხვევაში ისინი ინარჩუნებდნენ ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლებას. ამიტომაც ლოკომოტიველები აქტიურობდნენ მთელი შეხვედრის განმავლობაში და მიაღწიეს კიდევაც სასურველს. ანგარიში 11-მეტრიანი საჯარიმოდან გახსნა ლ. ფირცხალავამ („ლოკომოტივი“). შემდეგ ბ. კულულაშვილმა კიდევ ორი გოლი გაიტანა თბილისელთა კარში, რამაც გამარჯვება (3:0) მოუტანა სამტრედიელებს.

ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ანგარიშით დამთავრდა მატჩი ახალციხის „მეხსეთესა“ და ფოთის „შეზღვაურს“ შორის, რომელიც ახალციხეში ჩატარდა. ამ მატჩს ახალციხელებისათვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სამტრედიელთა მატჩს თბილისის „სპარტაკთან“. პირველ ნახევარში მოწინააღმდეგეებმა ვერ მიაღწიეს უპირატესობას, მეორე ტაიმში „მეხსეთმა“ გაიტანა სამი გოლი და გაიმარჯვა.

გ. ᲐᲚᲛᲐᲡᲘᲐᲡ (ზუგდიდი) მიერ გატანილმა ორმა გოლმა გამარჯვება მოუტანა ზუგდიდის „ოდიშს“ სტალინირის „სპარტაკთან“ შეხვედრაში. მატჩში, რომელიც ზუგდიდში ჩატარდა, სტალინირელებს ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მათ იგი ვერ გამოიყენეს და დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი.

ᲛᲣᲨᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ დაზავება არჩიეს თბილისში მოთამაშე ადგილობრივმა „ისანმა“ და წულუკიძის „ფეიქარმა“. შესვენებამდე გოლი გაიტანეს თბილისელებმა, მეორე ნახევარში ანგარიში გაათანაბრეს წულუკიძელებმა და სატურნირო ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს.

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ჩაატარა თავისი უკანასკნელი შეხვედრა ყვარლის „დურუჯმა“ ქუთაისის „მშენებელთან“ შეხვედრაში. ყვარლელებმა სამი გოლი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და სამივეს ავტორი ლ. ჟამუტაშვილი იყო.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 28 სექტემბრისათვის

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეშახტე“ ტყიბული	25	17	5	3	60:19	39
„სიხარული“ მახარაძე	26	17	5	4	65:27	39
„იმერეთი“ ქუთაისი	24	14	8	2	54:26	36
სკა თბილისი	25	13	6	6	47:23	32
ფიზკ. ინსტ. თბილისი	22	11	6	5	43:28	28
„განთიადი“ ბათუმი	24	11	5	8	41:42	27
„შუქურა“ ქობულეთი	24	9	7	8	47:39	25
„კოლხიდა“ ხობი	26	8	8	10	48:40	24
„მაღაროელი“ ჭიათურა	25	9	6	10	42:42	24
„ბახმარო“ ჩოხატაური	26	9	3	14	35:69	21
„კოლმეურნე“ თელავი	26	6	7	13	44:80	19
„მექანიზატორი“ ადიგენი	26	4	4	18	30:41	12
„სალხინო“ გეგეჭკორი	26	4	4	18	29:77	12
„დინამო“ ხოხუმი	25	3	5	17	23:56	11

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ ლანჩხუთი	25	19	1	5	70:34	39
„ლოკომოტივი“ სამტრედია	26	14	7	5	46:29	35
„ოდიში“ ზუგდიდი	26	15	4	7	50:28	34
„მეხსეთი“ ახალციხე	25	14	5	6	54:27	33
„სპარტაკი“ სტალინირი	26	15	3	8	49:33	33
„მეზღვაური“ ფოთი	26	11	6	9	32:33	28
„ფეიქარი“ წულუკიძე	26	11	5	10	46:49	27
„განთიადი“ ცხაკაია	26	12	3	11	42:49	27
„სპარტაკი“ თბილისი	26	9	6	11	29:40	24
„მშენებელი“ ქუთაისი	25	7	7	11	33:39	21
„დურუჯი“ ყვარელი	26	7	5	14	28:56	19
„დილა“ გორი	24	6	4	14	36:43	16
„ისანი“ თბილისი	25	5	5	15	27:47	15
„სპარტაკი“ რუსთავი	26	1	5	20	22:54	7

დაკა პირველი ადგილისათვის

XV ტურით დაიწყო ბლედის საერთაშორისო ტურნირის ფინიში. ყველა პარტია გამოირჩეოდა დაძაბული ბრძოლით. ტალის შეხვედრა ბისჰაიერთან გადაიდო საბჭოთა გროსმაისტერისათვის უკეთეს პოზიციაში. ფიშერი მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდა პორტიშთან პარტიაში, მაგრამ მაინც შეძლო გამარჯვება. საყაიმო შედეგით დასრულდა ტრიფუნოვიჩ-პეტროსიანის პარტია. გლიგორიჩმა და კერესმა მოიგეს პარტიები. პირველმა მოუგო ბერტოკს, მეორემ — უდოვჩიჩს.

ლიდერებს დაგროვილი ჰქონდათ გადადებული პარტიები. ამიტომ მათი დამთავრება გარკვეულ ინტერესს იწვევდა. ფიშერმა ყაიმს მიაღწია უდოვჩიჩთან, ტალმა დამაჯერებლად მოახდინა უპირატესობის რეალიზება ბისჰაიერთან და გაიმარჯვა. ორ პარტიაში თამაშის განახლება მოუხდა პეტროსიანს. მან მოუგო ბერტოკს, ხოლო მატანოვიჩთან ყაიმზე შეთანხმდა. გლიგორიჩმა შეძლო მატანოვიჩის დამარცხება, ხოლო კერეს-ბერტოკის შეხვედრაში ყაიმი იქნა ფიქსირებული.

XV ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ტალსა და ფიშერს 11-11 ქულა აქვთ, გლიგორიჩს — 10,5 ქულა, პეტროსიანსა და კერესს — 10-10 ქულა.

ლიდერთა დასკვნითი შეხვედრები დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს. დარჩენილ ოთხ ტურში ტალი უნდა შეხვდეს გერმეკს, პახმანს, პორტიშს და ნაიდორფს ფიშერი — კერესს, ნაიდორფს, პეტროსიანს, ივკოვს.

ვინც ამ ოთხეულს უკეთ გაიცლის, პირველი ადგილიც დარჩება.

სურათებზე: გროსმაისტერები მ. ტალი (ზემოთ) და რ. ფიშერი.



ი. ამნიაშვილი დღეს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი მოცურავეა. მას სპეციალისტები კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

სურათზე: ი. ამნიაშვილი დისტანციაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფეხბურთის ყველა ამბავი

ევროპის ჩემპიონთა თასზე

გაიმართა კიდევ ოთხი მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში, ბელგრადის „პარტიზანმა“ თავის მოედანზე მიიღო პორტუგალიის „სპორტინგი“ (ლისაბონი) და დაამარცხა იგი ანგარიშით 2:0. ამრიგად, იუგოსლაველებმა ორი შეხვედრიდან მოაგროვეს სამი ქულა და გავიდნენ გათამაშების მეორე წრეში.

შვეიცარიის ჩემპიონმა „სერვეტმა“ (ჟენევა) პირველ მატჩში ადვილად სძლია მალტის ჩემპიონს „იბერნიენს“. ამ გუნდების განმეორებით შეხვედრაში უპირატესობა კვლავ „სერვეტის“ მხარეს იყო — 2:1.

გათამაშების მეორე წრეში გავიდა აგრეთვე ბელგიის ჩემპიონი ქალაქ ლიეჟის „სტანდარდი“, რომელმაც მეორე მატჩში დაამარცხა ნორვეგიის „ბრედრიკსტადი“ — 2:0.

შედგა პირველი მატჩი ვენის „აუსტრიასა“ და ბუქარესტის „კა-ს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0. მათი განმეორებითი მატჩი მოეწყობა 28 სექტემბერს.

ზენეკოვიჩმა მიატოვა გუნდი

ავსტრიული გაზეთები განაწყენებულნი არიან. სულ რამდენიმე დღე იყო დარჩენილი ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრების სერიოზულ გამოცდამდე სსრ კავშირთან, რომ სრულიად მოულოდნელად ავსტრიის გუნდის უძლიერესმა თავდამსხმელმა ზენეკოვიჩმა განაცხადა, რომ იგი ტოვებს ავსტრიას და გადადის ესპანურ გუნდში „ბეტის სევილაში“.

რაშია საქმე? ამ საკითხზე ძნელი არაა პასუხის გაცემა. ზენეკოვიჩი 28 წლისაა და მან კარგად იცის, რომ მალე ფულს ვერ გააკეთებს საკუთარი ფეხების წყალობით და ამიტომ გადაწყვიტა გადავიდეს იქ, სადაც უფრო მეტ ფულს გადაუხდიან. ესპანელებმაც სიძუნწე არ გამოიჩინეს, რომ ავსტრიელი ფეხბურთელი გადაებირებიათ, შეაძლიეს მას 400 ათასი შილინგი და თვიური ხელფასი 15 ათასი შილინგის ოდენობით.

ფულმა ყველაფერი გადაწყვიტა. ავსტრიის ფეხბურთის საქმოსნები ამაოდ ემუდარებოდნენ ზენეკოვიჩს, რომ იგი თუნდაც მოსკოვის მატჩამდე დარჩენილიყო ავსტრიის გუნდში. ესპანეთის გუნდებში ფეხბურთელთა გადასვლები ნებადართულია მხოლოდ 29 აგვისტომდე. ამიტომ ზენეკოვიჩი ძალზე ჩქარობდა. ფიქრობდნენ, რომ მის წასვლას წინ აღუდგებოდნენ ავსტრიის საფეხბურთო კლუბის „ვიენას“ ხელმძღვანელები, რომელშიც ზენეკოვიჩი უკანასკნელ დროს გამოდიოდა. მაგრამ ყველას გასაკვირველად მათ დაიკავეს დუმილის პოზიცია და როგორც შემდეგ ცნობილი გახდა, ამ პოზიციის წყალობით კლუბმა ესპანელებისაგან მიიღო 900 ათასი შილინგი.

ავსტრიის ეროვნული ნაკრების გუნდის მწვრთნელი კარლ ბეკერი საგონებელში ჩავარდა. ვინ უნდა ეთამაშებინა გუნდში დაკარგული ფეხბურთელის ნაცვლად. ნაკრების ფორმირების საქმეში დიდი სიძნელეები გაჩნდა. აქაური გაზეთის „ფოლკსშტიმეს“ მიმომხილველი აღნიშნავს, რომ საქმე მარტო ზენეკოვიჩში არ არის. საქმე იმაშია, რომ ავსტრიის საუკეთესო ფეხბურთელებმა, არსებობის წყარო რომ იშოვონ, იძულებულნი არიან დატოვონ მშობლიური ქვეყანა და წავიდნენ იქ, საიდანაც ოქროს წკრიალის ხმა ესმით. ამიტომ ზენეკოვიჩის წასვლას არა მარტო „ვიენას“ გულშემატკივართა ვიწრო წრის, არამედ ამ ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობის აღშფოთება მოჰყვა.

8 ოქტომბერს, ვენის „პრატერ-შტადიონზე“

მრავალჯერ შეხვედრიან ერთმანეთს ავსტრიისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები, რომელთა მატჩი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ შედეგი ერთი იყო — იმარჯვებდნენ უნგრელები. მას შემდეგ, რაც აღორძინებულმა „ვუნდერტიმმა“ როგორც იქნა მოუგო ბუდაპეშტში მასპინძლებს, უნგრელებმა მაშინვე მოითხოვეს რევანში ვენაში. მათი წინადადება მიღებულ იქნა. მატჩი გაიმართება ვენაში, 8 ოქტომბერს.

დამაჯებით მაჯჩში

როგორც ცნობილია, ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონების თასზე გამარჯვებული გუნდების — ლისაბონის „ბენფიკასა“ და მონტევიდეოს „პენიაროლის“ პირველი მატჩი დამთავრდა „ბენფიკას“ გამარჯვებით — 1:0. განმეორებით შეხვედრაში, რომელიც მონტევიდეოში გაიმართა, „პენიაროლმა“ მიაღწია მნიშვნელოვან გამარჯვებას — 5:0. მაგრამ რამდენადაც სამხრეთ ამერიკაში არსებული სისტემით გამარჯვებულის გამოსავლენებლად მხედველობაში არ მიიღება ბურთების შეფარდება, დაინიშნა მესამე მატჩი ისევ მონტევიდეოში. ამჟამადაც უპირატესობა დარჩა „პენიაროლს“ — 2:1, რომელიც გახდა „ოქროს ბურთის“ მფლობელი.

ვენის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ამასწინანდელ მატჩს მოსკოვში, „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე“ ავსტრიელთა გამარჯვებას — „ტაქტიკის“ გამარჯვებას უწოდებს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა მეკარე ფრაიდლის ბრწყინვალე თამაშისა და არაზუსტი დარტყმების გამო ვერ გამოიყენეს დიდი ტერიტორიული უპირატესობა, გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი კ. ლეხნერი აღნიშნავს ავსტრიელთა გუნდის კაპიტნის ჰანაპის მეტად მოქნილ და ეფექტურ თამაშს. საბჭოთა ფეხბურთელებიდან ლეხნერს განსაკუთრებით მოსწონს მეტრეველი, რომელიც „მთლიანად მოგვაგონებს განთქმულ ინგლისელ მეტიუზს“ და მცველი ჩოხელი, რომელიც ჩინებულად გაუმკლავდა დიდი ფიზიკური ძალის მქონე ნემეცს.

უნგრელთა მწვრთნელი ბარატი დიდი ყურადღებით ემზადება ვენის მატჩისათვის. ამ შეხვედრას უნგრელები „გენერალურ რეპეტიციას“ უწოდებენ მსოფლიო ჩემპიონატის წინ. საქმე იმაშია, რომ ბერლინში ამასწინანდელ მატჩში უნგრელებმა საკმაოდ უფერული თამაში უჩვენეს. აი რას წერს ბუდაპეშტის „ნეპ-სპორტი“: „მათი (გერმანელების) იერიშები მეტად სწრაფად ვითარდებოდა და მატჩის შედეგიც სხვა იქნებოდა, კარში რომ გროშიჩი არ გვყოლოდა“. „ჰეითფოი ჰირეკის“ აზრით,— თუ კი უნგრელებს სურთ ჩილში საპატიო შედეგის მიღწევა, მათ ჩემპიონატის დროისათვის ბევრად უნდა გააუმჯობესონ თამაში. ბერლინის მატჩში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები ჩვენზე ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა“. ასეთ სპორტულად დაძაბულ მომენტში ხდება ავსტრიისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრა ვენაში. დეკერი იმედოვნებს, რომ დაძაბული წვრთნა, ეროვნული ჩემპიონატის მატჩები საშუალებას მისცემენ ავსტრიელებს უკეთესად ითამაშონ, ვიდრე მოსკოვში. ეს განსაკუთრებით თავდამსხმელებს და მათ ლიდერს ჰოფს (№ 8) ეხება, რომელიც მოსკოვის მატჩისათვის ნაკლებად მომზადებული აღმოჩნდა და მეორე ტაიმში გამოცვალეს.

★

თბილისის დინამო-ის ავიოსპორტკლუბში ნაყოფიერად მუშაობენ პარაშუტისტთა ჯგუფები, სადაც ახალგაზრდებს თავის მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილებას გადასცემს სპორტის ოსტატი ა. გამრეკელაშვილი. მის მიერ უკვე მომზადებულია არაერთი სხვადასხვა თანრიგის სპორტსმენი, რომლებიც მალე თვითონვე შეუდგებიან ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

სურათზე: ა. გამრეკელაშვილი ემზადება მორიგი ნახტომისათვის.

ფოტო ს. კრუჟკოვისა.

★

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01149